

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ოქმი №6

ქ. ახმეტა

17 თებერვალი, 2017 წელი

თავმჯდომარეობდა:

გელა ჯუგაშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ს ხ დ ო მ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:

თ. წითელაური, თ. ყეინიშვილი, ბ.ჭიჭკლიშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის

გ. ქიტესაშვილი, ნ. აბალოძე, რ. ბაღაკაშვილი,

საკრებულოს წევრები:

მ.ალხანაშვილი, დ.მურთაზაშვილი, ა.ფიცხელაური

ა. მექვევრიშვილი, ა. ნახუცრიშვილი, თ. ბოდაველი,

გ. უძილაური, თ. ბორჩაშვილი, ა. მაილაშვილი.

სხდომა გაიხსნა 12⁰⁰საათზე

საკრებულოს თავმჯდომარემ გელა ჯუგაშვილმა გახსნა სხდომა და დამსწრე პირებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - თამაზ წითელაური/



2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე, ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ;

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

3. ზემო და ქვემო ალვანის სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის პეტიცია - „ალისგორი - წაროს მონაკვეთზე, მდინარე ალაზანზე (ე.წ. „გომეწრის ალაზანი“) ხიდის აშენების შესახებ, გამგებლის ანგარიშის ცნობად მიღების თაობაზე;

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი, რომელსაც მხარი სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - თამაზ წითელაური/

მომხსენებელმა თამაზ წითელაურმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ 2017 წლის 10 თებერვალს მთავრობის ადმინისტრაციიდან შემოვიდა სამართლებრივი დასკვნა ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებასთან დაკავშირებით, აქედან გამომდინარე წარმოგიდგენთ შესაბამის დადგენილების პროექტს:



1. დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის, აგრეთვე, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:“

2. დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2017 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.“

აზრი გამოთქვას:

პროექტთან დაკავშირებით შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება, რასაც სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა მხარი დაუჭირა.

„ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №4 „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მოისმინეს: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე, ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ;



/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი /

მომხსენებელმა დამსწრე საკრებულოს წევრებს გააცნო საკითხი და განმარტა, რომ წლიური დაფინანსების ნაწილში შედიოდა შვიდი პროექტი მოხდა ერთი პროექტის დამატება, ეს არის სოფ. კასრისწყალში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავის მოწყობა, რამაც გამოიწვია თანადაფინანსების მუხლში ზრდა.

აზრი გამოთქვას:

საკრებულოს წევრებმა მოიწონეს აღნიშნული პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება, რასაც სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა მხარი დაუჭირა.

„ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № 4 საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე, ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ;

მოისმინეს: ზემო და ქვემო ალვანის სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის პეტიცია-„ალისგორი-წაროს მონაკვეთზე, მდინარე ალაზანზე (ე.წ. „გომეწრის ალაზანი“) ხიდის აშენების შესახებ, გამგებლის ანგარიშის ცნობად მიღების თაობაზე;

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

მომხსენებელმა დამსწრე წევრებს გააცნო ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსული ზემო და ქვემო ალვანის სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის პეტიცია-„ალისგორი-წაროს მონაკვეთზე, მდინარე ალაზანზე (ე.წ. „გომეწრის ალაზანი“) ხიდის აშენების შესახებ და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პეტიცია დაკმაყოფილებულია.



აზრი გამოთქვას:

არჩილ მექვეერიშვილი დაინტერესდა, თუ როგორი კონსტრუქციის იქნება ხიდი და რა სახის ტრანსპორტისთვის იქნება განკუთვნილი.

მომსხენებელმა უპასუხა, რომ ხიდის ნაწილი იქნება რკინის კონსტრუქციის, ხოლო სავალი ნაწილი ხის. ხიდი გათვლილია მაღალი გამავლობის, მაგრამ მსუბუქ ავტომობილებზე.

ცნობად იქნა მიღებული

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა, დამსწრე საკრებულოს წევრებს: ხომ არ სურთ რაიმე წინადადების დაყენება.

სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრებს წინადადების დაყენების სურვილი არ გამოუთქვამთ.

საკრებულოს სხდომა დაიხურა 12⁰⁰ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



გელა ჯუგაშვილი